

ზამბახიძე გრიგოლ

ზამბახიძე გრიგოლ ნიკიფორეს ძე (30. XI. 1911, ფოთი, - 26.V. 1962, თბილისი), ჰიდროტექნიკოსი. საქართვე. დამს. ინჟინერი (1961). დაამთავრა სპი. 1936-41 მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1941-44 იყო საქ. სსრ წყალთა მეურნეობის სახ. კომისარი, 1944-48 - საქ. კპ ცენტრ. კომიტეტის მრეწვ. განყ-ბის გამგე. ხელმძღვანელობდა დედაქალაქის ღირსშესანიშნაობად ქცეული მრავალი სამოქალაქო და სამრეწვ. ობიექტის აგებას. იყო საქ. სსრ სამშ. მასალების მრეწველობის მინისტრი (1954-56), საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი მოსკოვში (1956-58). ეწეოდა სამეცნ.-კვლ. მუშაობას ჰიდრავლიკის დარგში. მის მიერ საფუძვლიანადაა შესწავლილი და გადაჭრილი წყლის ნაკადისა და მდინარეთა გამრუდებულ მონაკვეთზე მყარი სხეულების მოძრაობის პრობლემა. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.
